ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება № 1920

"13" ოქტომბერი 2015 წელი

ქ. ზუგდიდი

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქი ზუგდიდი,ზვ. გამსახურდიას გამზირი N10-ში მდებარე 12101 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N43.31.49.389) პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების და ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 მაისის №85 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 ოქტომბრის N151 განკარგულებისა და და ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი N10) საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 ოქტომბრის N152 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი N10-ში მდებარე 12101 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N43.31.49.389).

მუხლი 2. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და

2100 zugdidi, zviad gamsaxurdias gamz. 45 tel: (0415) 25 15 30 E-mail: zugdidi.meria@gmail.com

ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 34-ე მუხლის შესაბამისად;

მუხლი 3. დამტკიცდეს საპრივატიზებო უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური (აუდიტორული დასკვნა N02/300; 5.10.2015) „ბე" და ბიჯი, კერძოდ:

ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი N10-ში მდებარე 12101 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N43.31.49.389)- საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს - **1 500 000** (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით; **„ბე"** - განისაზღვროს **300 000** (სამასი ათასი) ლარით; **ბიჯი** - განისაზღვროს **15 000** (თხუთმეტი ათასი) ლარით;

მუხლი 4. განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2015 წლის 13 ოქტომბრის 16 საათიდან 2015 წლის 27 ოქტომბრის 16 საათამდე.

მუხლი 5. „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

1. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.
2. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 10. ელექტრონული აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

ა) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე პირადად ან/და შესაბამ[illegible] პირ[illegible]ის მეშვეობით: ა.ა) საერთაშორისო ოპერატორის (ბრენდის) სახელის მქონე [illegible]ლეგ 120 (ას ოცი) ნომრის მქონე სასტუმროს (რომლის იერსახე უნდა შეესაბამებოდეს დადგენილებ[illegible] სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს, კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით) მშენებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღების, აღჭურვის და ფუნქციონირების დაწყების, უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს მაგრამ არ[illegible] შემოიფარგლება:

ა.ა.ა) არანაკლებ 600 (ექვსასი) კვ.მ ფართის მქონე დარბაზს, ღია და დახურული ტიპის არანაკლებ 10 (ათი) კაცზე გათვლილ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) ერთეულ შეხვედრების ოთახს.

ა.ა.ბ) არანაკლებ 100 (ასი) ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობას.

ა.ბ) არანაკლებ 40 ნომრის მქონე აპარტ-ოტელის მშენებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება, აღჭურვა და ფუნქციონირების დაწყების უზრუნველყოფა.

ბ) „ა.ა"და „ა.ბ" პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, არანაკლებ 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ-დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (ლარი) ინვესტიციის განხორციელება;

გ) „ა.ა" და „ა.ბ" პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულებიდან არაუმეტეს 3 (სამი) თვის ვადაში, ამავე პუნქტით გათვალისწინებულ სასტუმროში ან/და აპარტ ოტელში არანაკლებ 100 (ასი) ადამიანის დასაქმება, არანაკლებ 3 (სამი) წლის ვადით;

მუხლი 11. თანხა ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა გადაიხადონ შემდეგ რეკვიზიტებზე: სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობები, ხაზინის ერთიანი ანგარიში №GE24NB0330100200165022; ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი №TRESGE22, უძრავი ქონების პრივატიზება - №300813390 (არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან).

მუხლი 12. ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.

მუხლი 13. პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge.

მუხლი 14. პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა.

მუხლი 15. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა და ელექტრონული აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

მუხლი 16. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვიცე მერმა გია გულორდავამ.

მუხლი 17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ზუგდიდი, გრიგოლ ქობალიას ქუჩა №12).

ირაკლი გოგობერიძე
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი